პროექტი

განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შერჩეული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 61-ე მუხლის მე-2 ფუნქტისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შერჩეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებები, კერძოდ:

1. სოფ. დაბლაციხეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყვეტილი მონაკვეთის აღდგენა;

2. სოფ. ზემოსურებში ჭალა-ქადაგაურის გზის აღდგენის სამუშაოები;

3. სოფ. შუა ფარცხმაში, დობიროს უბანში მისასვლელი გზის აღდგენის სამუშაოები;

4. სოფ. ფარცხმაში "ძგიმიძგურის "ღელეზე საავტომობილო ხიდის შეკეთება;

5. სოფ. ზემო ფარცხმაში წიფნარის მიმართულებით მისასვლელი გზის აღდგენა;

6. სოფ. ქვენობანში საერთო საცხოვრებლის სახურავის მოწყობის სამუშაოები;

7. სოფ. შუა ამაღლებაში ქვიშნარას უბანში საავტომობილო ხიდის აღდგენა;

8. სოფ. შუა ამაღლებაში ლაფრანას ღელეზე საცალფეხო ხიდის აღდგენა;

9. სოფ. შუა სურებში აგაშას უბანში მისასვლელი საცალფეხო ხიდის შეკეთების სამუშაოები;

10. ხიდისთავი-ქვენობნის გზის I კმ-ში სტიქიით დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები.

2. განკარგულება ძალაშია ხელომოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (ჭავჭავაძის ქუჩა №4).

პროექტი მოამზადა: გია გიორგაძემ